ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრის ისნის რაიონის 05-08 ოლქის მაჟორიტარი დეპუტატის

ილია ჯიშკარიანის 2019 წლის ანგარიში

მე, ილია ჯიშკარიანი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი (2018 წლის 1 ნოემბრიდან დღემდე ჩატარებული გვაქვს საკრებულოს 18 სხდომა , მიღებული გვაქვს 434 განკარგულება და 98 დადგენილება, საპატიო მიზეზის გამო გავაცდინე 6 სხდომა), სატრანსპორტო საკითხთა კომისიის (ჩატარებულია 13 სხდომა განხილულია 45 საკითხი) და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის (ჩატარებულია 12 სხდომა განხილულია 15 საკითხი) წევრი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-"ს (ჩატარებულია 20 სხდომა განხილულია 21 საკითხი) წევრი.

ჩემი წარმომადგენლობა ფუნქციონირებს მისამართზე: ქეთევან წამებულის გამზირი 46 ბ , ტელეფონი 2 77 11 04, მოქალაქეებს შეუძლიათ მოგვმართონ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 9^{00} -18^{00} საათებში, რაიონის მოსახლეობის მიღება ხდება ყოველგვარი წინასწარი ჩაწერისა და რიგის გარეშე. ბოლო ერთი წლის განმავლობაში წარმომადგენლობას მომართა 403 მოქალაქემ. რომელთაც ჩემი და ჩემი წარმომადგენლობის თანამშრომლების (თითოეული კურირებს რაიონში არსებულ პრობლემატურ საკითხთა ცალკეულ სფეროს) მიერ გაეწიათ კომპეტენტური და კვალიფიციური კონსულტაცია ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე. გაგზავნილია 68 შუამდგომლობა: ისნის რაიონის გამგებლის სახელზე -64 მათ შორის: 37-შუამდგომლობა ოპერაციის დაფინანსებაზე, მკურნალობის, კვლევების, და მედიკამენტების დაფინანსებაზე, 16 - მიზნობრივად ფინანსური დახმარების გაწევაზე, 3 - უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფაზე, 8 - ეზოს , საბავშვო მოედნების, ქუჩის ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, სახლების სახურავებისა და შენობების, ლიფტების შერემონტება-გამაგრებაზე და სამშენებლო მასალებით დახმარებაზე. ასვე 4 მოქალაქეს გაეწია

შუამდგომლობა და რეკომენდაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა საქალაქო სამსახურებთან და სსიპებთან.

ჩემს სამაჟორიტარო ოლქში რაიონის მოსახლეობის პრობლემები ოთხ ძირითად სფეროს მოიცავს: 1. ავარიული სახლები და გაუმართავი ინფრასტრუქტურა; 2. სოციალური გაჭირვება და ჯანდაცვა; 3. საკუთრების დაკანონება; 4. განათლება და დასაქმება;

ჩემი და ჩემი წარმომადგენლობის თანამშრომლების ყოველდღიური შრომის შედეგად, რომელიც ძალიან მჭიდრო კავშირშია აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა შტოებთან, ქალაქის წყალმომარაგების კომპანიასთან (GWP) განხორციელდა მიწისქვეშა კომუნიკაციების და გზების რეაბილიტაცია:

გზები - ეკატერინე მელიქიშვილის ქუჩის (ყოფ. აფანასიევი) და თელავის ქუჩისა და ჩიხის სრული რეაბილიტაცია. კვეზერელი-კოპაძის ქუჩა(ქეთევან წამებულიდან ქურხულის ქუჩამდე), გუმბრის ქ. შესახვევი, მელაანის III და V შესახვევი, ნიაბის პირველი შესახვევის გაგრძელება, ელია-ვაზისუბნის გზის გაგრძელება, (ტაძრის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ), ავლაბრის მოედანი(სომხური ეკლესიის მიმდებარედ),წურწუმიას შესახვევიდან მე-2 შორაპნის ქუჩამდე, მთისძირის შესახვევი, მრევლიშვილის პირველი შესახვევი, აწყურის ქუჩა (კასპის ქუჩიდან კაჩინსკის ქუჩამდე), ხიდები

ჯანელიძის პირველი გასასვლელის და მარტყოფის ქ. ხიდი,

საყრდენი კედელი - ნიაბის პირველ შეს. და ონიანის ქ. 46-48,

გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობა, ავტოფარეხების დემონტაჟი, კვეზერელი-კოპაძის ქუჩისა და ქურხულის ქუჩის კვეთაზე და წინანდლის მეორე შეს. სპორტული მოედნის გაკეთება.

სკვერების მოწყობა ქ. წამებულის 76 , ბეგიაშვილის ქ. მოპირდაპირედ , ყვარლის ქ. პირველი შეს. , შირაქის ქ. 11 და გონაშვილის ქ. 9 .

ავარიული სახლების გამაგრება კასპის ქ. 2 და არარატის ქ. 23.

ა.წ. 24 ივნისის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის საცხოვრებელი სახლების სახურავების აღდგენა.

ჩემი უშუალო მონაწილეობით დაიწყო და დასრულდა წლების განმავლობაში არსებული და ისნის რაიონის მოსახლეობისათვის ყველაზე მტკივნეული პრობლემის

ე.წ. მეტრომშენის ხევის ინფრასტრუქტურული პროექტი. (ელისაბედ ორბელიანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია). რაც ერთერთი ყველაზე მთავრი დაპირება იყო ჩემს მიერ გაცემული.

განსაკუთრებით გამოვყოფდი მოქალაქე (მარტოხელა, პენსიონერი, სოციალურად დაუცველი) თამარ სალოინაიას საცხოვრებელ სახლზე კიბის რეაბილიტაციას, მოქალაქე (ინვალიდი, საწოლს მიჯაჭვული) მაია ბარამიასთვის ინვალიდის ეტლის გადაცემას, რაც შესაძლებელი გახდა, წარმომადგენლობის თანამშრომლების და რაიონში მცხოვრები მადლიერი ქალბატონის იზოლდა ნუცუბიძის თანამშრომლობის შედეგად. წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ განხორციელებულ სხვადასხვა საქველმოქმედო აქტებს (ტანსაცმლის და საკვები პროდუქტების შეგროვება და დარიგება რაიონში მცხოვრები შეჭირვებული მოქალაქეებისთვის, დევნილთა ოჯახებისთვის). მოსახლეობის განსაკუთრებული მოთხოვნის შესაბამისად ცუცქირიძის ქუჩაზე ამკრძალავი ნიშნის დემონტაჟს.

მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებში (მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების მონახულება , 9 მაისის ღონისძიება, ჰოვანეს თუმანიანის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სკოლების მოსწავლეების ექსკურსიები ,,მუზეუმების კვირეულის" ფარგლებში და სკოლებისა და საბავშვო ბაღების საზეიმო ღონისძიებებზე დასწრება და სხვა.

პრობლემურ საკითხად რჩება მოწყვლადი ჯგუფების სოციალური სტატუსის შეჩერებასთან და შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით, მოსახლეობის დამოკიდებულება. მოქალაქეების უმრავლესობა თვლის რომ შეფასების სისტემა უსამართლოა, ამას ემატება აგენტების მხრიდან ხშირად უხეში, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. რაც სამწუხაროდ დღემდე გრძელდება. ჩემი შუამდგომლობით მოხდა სტატუსჩამორთმეული იმ მოქალაქეების საქმეების თავიდან განხილვა და გადამოწმება, რომლებმაც წერილობით მომმართეს ოფისში.

მაგალითისთვის: იგივე მოქალაქე თამარ სალიონაიას, რომელსაც დანგრეული კიბე გავუკეთეთ წლების წინ ჰქოდა, 50 000, 38 000, და 1000 ქულაც შესაბამისად სოციალურ დახმარებას იღებდა 60 ლარის ოდენობით, 2019 წლის გეგმიური გადამოწმების შემდეგ გაუხდა 60 000 ქულაზე მეტი და დახმარება შეუმცირდა 30 ლარამდე. მიზეზი: 71 წლის მარტოხელა, პენსიონერი პატიოსნად იხდის ბუნებრივი აირის გადასახადს, ზამთარში 20-20 ლარს, ზაფხულში 2 -3 ლარს, რამაც ერთი წლის განმავლობაში შეადგინა 100 ლარზე მეტი. თან იხდის დასუფთავებას 2 სულზე, არადა მეუღლე მე-4 წელია, რაც გარდაეცვალა, მოქალაქეს ასაკი მოემატა,

გაუუარესდა ჯანმრთელობა, ცხოვრობს შეჭირვებულად. ე.ი აღარც უნდა გათბეს, დაიბანოს (არ დაგავიწყდეთ, რომ ამ ქალბატონს სახლში არც აბაზანა აქვს , არც ტუალეტი, და ეს ფაქტი ქულების მინიჭებისას არ არის გათვალისწინებული), მაშინ რა აზრი აქვს ჩვენს საერთო ძალისხმევას გინდაც კიბის გაკეთებას და გინდაც პენსიის მომატებას, მოქალაქეს ისევ უსამართლობის განცდა დარჩა.

ისევ მიმაჩნია, რომ სოციალური სტატუსის მინიჭების უფლება და მოვალეობები უნდა ჰქონდეს რაიონის გამგეობას ,(დღემდე არ არის გაყოფილი ისნის და სამგორის რაიონების სოციალური სამსახურები) რისი გამოცდილებაც არსებობდა წლების წინ, და არა ჯანდაცვის სამინისტროს, (სადაც, როგორც მოსახლეობის მიერ არჩეულ რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს უფრო მეტი საშუალება მექნება ვაწარმოო მინიტორინგი და შესაბამისად პროცესი გახდეს მეტად გამჭვირვალე და მეტად სამართლიანი) რაიონის გამგეობა უფრო ახლოს იცნობს მისი მოსახლეობის ცხოვრების დონეს, მეტად ჩართულია მათი პრობლემების მოგვარებაში, ზუსტად იცის მათი გაჭირვება და აქვს გადამოწმების მეტი საშუალება. აქედან გამომდინარე ვთვლი რომ თავიდან იქნება აცილებული ისეთი პრობლემები როგორიცაა მოსახლეობაში უსამართლობის განცდა შეფასების დროს, სტატუსის შეჩერების ან ჩამორთმევის დროს.

ისნის რაიონში კიდევ არის ასეთი სახლები, სადაც ათწლეულებია ცხოვრობენ ქვეყნის ყველაზე დასაფასებელი სამხედრო ძალების მოქმედი და ვეტერანთა ოჯახები , რომლებიც ისევ ელოდებიან სახლების დაკანონებას.

რაც შეეხება მოქალაქეთა დასაქმებას, საჭიროა ბიზნესის ხელშეწყობა, ახალი ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომელიც ზრდის ტურისტულ პოტენციალს, მაგალითად საბაგიროს პროექტი ელიას მთაზე, რათა გაჩნდეს ახალი სამუშაო ადგილები და მოხდეს განათლებული ახალგაზრდების დასაქმება მეტი წახალისება და დაფასება.

ამ და სხვა მნიშვნელოვანი საკითხებით ისეთებით როგორიცაა ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა, თვითმმართველობის როლი ბიუჯეტის ფორმირებისას და მოქალაქეთა ჩართულობა თვითმმართველობაში მსურდა წარვმსდგარიყავი და ყოველწლიური ანგარიში ჩამებარებინა რაიონის მოსახლეობისთვის, რაც დროებით შეუძლებელია ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო. წლის ბოლომდე გაცნობებთ მოსახლეობასთან შეხვედრის ადგილს, თარიღს და დროს.

პატივისცემით,